თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ. თელავი 2019 წლის 15 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის უხუცესი წევრი ნიკოლოზ მაისურაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ქართული ოცნება - მრეწველები'' -ს თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს წევრი **აბრამ მახარიაშვილი,** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** საკრებულოს წევრი **ლევან მრელაშვილი,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** საკრებულოს წევრი **ზაქარია ყარასაშვილი,** საკრებულოს წევრი **ბესიკ გაიპარაშვილი,** საკრებულოს წევრი **გოჩა წაწალაშვილი,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკ ქოჩიშვილი,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები''-ს თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული,** საკრებულოს ფრაქცია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი''-ს თავმჯდომარე **არჩილ თვალიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყურშიტაშვილი,** საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი,** მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. მაისურაძე

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამით დამკიცებული ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე წლის ივნისში ჩატარდა სასკოლო ფესტივალი ,,ხელოვნება და შემოქმედება'', რომლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 29 900 ლარით. აღნიშნული ღონისძიებიდან დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 3650 ლარი

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ითვალსიწინებს, რომ ფესტივალიდან დარჩენილი ეკონომია-3650 ლარი დაემატოს

ღონისძიებას ,,კულტურული ინიციატივები'', რომელიც მოხმარდება ახალგაზრდებისათვის (მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ.) კულტურულ საგანმანათლებლო სფეროს შეხვედრა სემინარების გამართვას (3 სემინარი).სემინარების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებისათვის კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების გაცნობა, პოპულარიზაცია და მათი მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში, კულტურული თვითშეგნების ამაღლება, პროფესიული თვალსაწიერის გაფართოება.

ცვლილების განხორციელების შედეგად, ღონისძიება ,,კულტურული ინიციატივების'' ბიუჯეტი განისაზღვრება 16 250 ლარით და პროგრამულ ბიუჯეტზე გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან, ადგილი აქვს თანხების მუხლობრივ გადანაცვლებას.

პროექტს ერთხმად მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი სახით პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის უხუცესი წევრი ნიკოლოზ მაისურაძე